



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი CIVIL SOCIETY INSTITUTE

დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა

კანონპროექტებზე:

- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
- „საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
- „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ“;
- „საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

(ავტორი და ინიციატორი – პარლამენტის წევრი რატი სამყურაშვილი)

ზურაბ ეზუგბაია

I. არსებითი ხასიათის შენიშვნები

1. საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს საარჩევნო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“

პროექტით გათვალისწინებულ საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2¹ პუნქტის რედაქციაში პირველი და მე-2 აბზაცების ნორმებს შორის შეიმჩნევა კოლიზია. კერძოდ, პირველი აბზაცის თანახმად ფიზიკური პირი შემოწირულობის შეტანის შემდეგ 1 კვირის ვადაში წარადგენს საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაციას, ხოლო მე-2 აბზაცის მიხედვით კი საარჩევნო ფონდს ასეთი შემოწირულობის მიღება ეკრძალება შემომწირველი ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო ორგანოდან საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაციის წარდგენის დამადასტურებელი საბუთის ჩვენებამდე (ანუ შემომწირველის მიერ წინასწარ საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაციის წარდგენამდე).

2. საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“

პროექტის პირველი მუხლით გათვალისწინებულ დამატებასთან (მე-2¹ ნაწილი) დაკავშირებით კოდექსის 217-ე მუხლში:

- პროექტით მოუწესრიგებელი რჩება ის შემთხვევები, როდესაც შემომწირველ ფიზიკურ პირს პარტიაში შემოწირულობის შეტანამდე ჩვეულებრივი (საერთო) წესით უკვე წარდგენილი აქვს საგადასახადო ორგანოში საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაცია. პროექტის მიხედვით მას განმეორებით იდენტური დეკლარაციის წარდგენამ შეიძლება მოუწიოს. ამრიგად, შესაძლოა მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული შემომწირველი ფიზიკური პირის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისგან

განთავისუფლება, თუ პარტიაში შემოწირულობის შეტანამდე მას, პირობითად, 1 ან 2 თვის ფარგლებში უკვე ჩვეულებრივი (საერთო) წესით წარდგენილი ექნება საგადასახადო ორგანოში საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაცია;

- პროექტით შემომწირველ ფიზიკურ პირს პარტიაში შემოწირულობის შეტანიდან 1 კვირის ვადაში (ანუ შემოწირულობის განხორციელების შემდეგ) ევალება საგადასახადო ორგანოში საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაციის წარდგენა, რაც კოლიზიაში შეიძლება მოვიდეს ამავე საკანონმდებლო პაკეტში შემავალი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ორგანული კანონის პროექტის დებულებებთან, რომელთა მიხედვით საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაცია უნდა წარედგინოს შემოწირულობის შეტანამდე (პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის რედაქციაში), ხოლო პარტიას შემოწირულობის მიღების უფლება აქვს ასევე საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური პირის დეკლარაციის წარდგენის დამადასტურებელი საბუთის გაცემის შემდეგ (პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის რედაქციაში).

3. საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

ა) პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია ცვლილება კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც დგინდება პარტიის საწევრო შენატანის მაქსიმალური ზღვარი 50 ლარის ოდენობით; პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია ცვლილება კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმად დგინდება, რომ ფიზიკური პირის მიერ პარტიაში შეტანილი შემოწირულობის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მიღებული შემოსავლის ოდენობას (ამის საჭიროება გაუგებარი ხდება განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ კანონით უკვე დადგენილია ფიზიკური პირის შემოწირულობის მაქსიმალური მყარი ზღვარი წლის განმავლობაში 30 000 ლარის ოდენობით).

ასეთი ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა საჭიროებს საგანგებო დასაბუთებას, რაც არც პროექტში, არც თანდართულ განმარტებით ბარათში არ არის წარმოდგენილი. კერძოდ, გარდა ცვლილების გამომწვევი მიზეზების და მისაღები პოზიტიური შედეგების (ასეთ პოზიტიურ შედეგად უბრალოდ პარტიის ფინანსური რესურსის შემცირება, ალბათ, ვერ ჩაითვლება) წარმოჩენისა, აუცილებელია განისაზღვროს რა კრიტერიუმების (სოციალური და ფინანსური კრიტერიუმები) მიხედვით არის გაანგარიშებული საწევრო შენატანის მაქსიმალური ზღვარი 50 ლარის ოდენობით და ფიზიკური პირის შემოწირულობის მაქსიმალური ზღვარი მისი მხოლოდ 1 წლის შემოსავლის ოდენობით;

ბ) პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია კანონის 26-ე მუხლში მე-4 პუნქტის დამატება, რომლის თანახმადაც პარტიის მიერ შემოწირულობების მიღება ხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულებების მეშვეობით. ამ რედაქციიდან ნათლად არ ჩანს, რომ მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ფინანსურ შემოწირულობებზე და არა მატერიალურ შემოწირულობებსა და უფლებების გამოყენებაზე შემოწირულობის საგნად, რაც სათანადო დაზუსტებას საჭიროებს პროექტში. კერძოდ, კანონის 26-ე მუხლის მე-4

პუნქტის შემოთავაზებულ რედაქციაში სიტყვის „შემოწირობების“ წინ უნდა დაემატოს სიტყვა „ფინანსური“;

გ) პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულია ცვლილება კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტში, რომლის თანახმადაც დგინდება პარტიის პასუხისმგებლობა თავის წლიურ საფინანსო დეკლარაციაში „არასწორი ან არასრული“ მონაცემების შეტანის შემთხვევაში. მიზანშეწონილი იქნება პროექტშივე ზუსტად განისაზღვროს გამოყენებული ტერმინების მკაფიო განმარტება – რა ჩაითვლება საფინანსო დეკლარაციის არასწორ შევსებად და რა ჩაითვლება საფინანსო დეკლარაციის არასრულ შევსებად. ამასთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია ნორმატიულ დონეზე დადგინდეს:

- პარტიის საფინანსო დეკლარაციის ფორმა;
- პარტიის საფინანსო დეკლარაციის ფორმის შევსების წესი.

ეს შეიძლება განხორციელდეს ან კანონზე დანართის გაკეთების გზით, ან პროექტში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის უფლებამოსილების მინიჭებით (საკანონმდებლო საფუძველი კანონქვემდებარე აქტის გამოსაცემად) კონკრეტული ვადის ფარგლებში შემუშაოს და დაამტკიცოს პარტიის საფინანსო დეკლარაციის უნიფიცირებული ფორმა და პარტიის საფინანსო დეკლარაციის ფორმის შევსების წესი;

დ) პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციას მიზანშეწონილია ბოლოში დაემატოს სიტყვები „ერთი წლის განმავლობაში“;

ე) პროექტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულია კანონში 34¹-ე მუხლის დამატება, რომლის თანახმადაც თუ პარტიის საქმიანობა „არსებითად ფინანსდება“ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით მიღებული შემოსავლებით, პარტიას ჩამოერთმევა არჩევნებში მონაწილეობის უფლება 3 წლის ვადით. მიზანშეწონილია პროექტშივე ზუსტად განისაზღვროს გამოყენებული ტერმინის მკაფიო განმარტება – რა ჩაითვლება „არსებითად დაფინანსებად“ შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების მითითებით (მაგალითად, უკანონო შემოწირობების 30%-ზე მეტი წილი პარტიის წლიურ შემოსავალში). მნიშვნელოვანია პროექტშივე დადგინდეს უკანონო შემოწირობებით „არსებითად დაფინანსების“ საანგარიშო პერიოდი, რომელიც პარტიის პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

ვ) კანონში პროექტით გათვალისწინებული ცვლილება-დამატებების შეტანის შედეგად პარტიების დასაშვები სანქციონების შემდეგი სურათი წარმოიქმნება:

- კანონის მოთხოვნების დარღვევით მიღებული შემოწირობების სახელმწიფო ხაზინაში 1 თვის ვადაში არგადარიცხვის შემთხვევაში – პარტიისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტა 1-დან 4 წლამდე ვადით უკანონო შემოწირობების ჩამორთმევით (კანონის 28-ე მუხლი);

- საფინანსო დეკლარაციის გამოუქვეყნებლობის ან წარუდგენლობის, აგრეთვე დეკლარაციაში არასწორი ან არასრული მონაცემების შეტანის შემთხვევაში – პარტიისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტა 1 წლის ვადით;

- პარტიის საქმიანობის კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით მიღებული შემოსავლებით არსებითად დაფინანსების შემთხვევაში – პარტიისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

ამას ემატება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები იგივე სახის დარღვევებისთვის.

სანქციების ასეთი გარემოს ფორმირების გათვალისწინებით პროექტში აუცილებლად უნდა რეგლამენტირებულ იქნეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი პარტიის მიმართ არსებობს ანალოგიური ხასიათის სანქციის გამოყენების რამოდენიმე სამართლებრივი საფუძველი – მოხდება სანქციათა ნამრავლის (ჯამის) გამოყენება, თუ ერთ-ერთი მათგანის (ამ მეორე შემთხვევაში, რომელი სანქცია იქნება შერჩეული და რა კრიტერიუმებით). მაგალითისთვის, ერთმა პარტიამ კანონის მოთხოვნების დარღვევით მიღებული შემოწირულობები (15 000 ლარამდე ღირებულებით წლის განმავლობაში) სახელმწიფო ხაზინაში 1 თვის ვადაში არ გადარიცხა და ამასთან ერთად საფინანსო დეკლარაციაც არ გამოაქვეყნა – ასეთ შემთხვევაში რა სანქცია იქნება გამოყენებული?;

ზ) პროექტის შემოთავაზებული რედაქციის მიხედვით გაურკვეველი რჩება კანონის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის ბედი და მისი გამოყენებადობის შესაძლებლობა, ვინაიდან ეს პუნქტი არ არის ამოღებული კანონიდან და მის მიხედვით 2009 წლამდე პარტიას უფლება აქვს ანონიმური პირებისგან მიიღოს წელიწადში 30 000 ლარამდე შემოწირულობა. პროექტში ან მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ანონიმური დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ დებულებების სამართლებრივი გამოყენებადობა, ან კანონის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს ტექსტიდან – წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი შესაძლოა ჰქონდეს კოლიზიასა და კანონის ნორმების არაერთგვაროვან გამოყენებას.

4. საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

ა) პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია კოდექსის 173¹¹-ე მუხლის ახალი რედაქცია. საყურადღებოა, რომ კოდექსი არ ითვალისწინებს ამ მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ დაწესებულებას. ამრიგად, მიზანშეწონილი იქნება კოდექსის 173¹¹-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი უფლებამოსილი დაწესებულების განსაზღვრა ამავე კოდექსის 239-ე მუხლის („ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“) 54-ე ნაწილში ცვლილების შეტანის გზით;

ბ) პროექტის პირველი მუხლით შემოთავაზებული კოდექსის 173¹⁰-ე და 173¹¹-ე მუხლების ახალი რედაქციების გათვალისწინებით მიზანშეწონილი იქნებოდა ამავე კოდექსის 174¹³-ე მუხლის („საარჩევნო კამპანიის ფონდში ან მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის მიღება ან/და შემოწირულობის თაობაზე ინფორმაციის დამალვა“) დისპოზიციის სათანადო კორექტირების უზრუნველყოფაც.

5. საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ“ არსებითი ხასიათის სამართლებრივი შენიშვნა არ მაქვს. ამასთან, ამ კანონპროექტზე მსჯელობისას შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს ის ფაქტორი, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მომზადებულია და განხილვის დასკვნით ფაზაშია ახალი კანონის პროექტი „თანამდებობის პირების ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომელიც მთლიანად აუქმებს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონს, ადგენს

დეკლარირების განსხვავებულ წესებსა და პერიოდებს, აგრეთვე საკუთრივ დეკლარაციების განსხვავებულ ფორმებს.

6. წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი მთლიანობაში სასურველია იქნეს განხილული სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) მიერ.

II. შენიშვნები იურიდიულ ტექნიკაზე

1. საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს საარჩევნო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“:

ა) პროექტის სახელწოდება შესასწორებელია, ვინაიდან იგი შეიცავს ერთ ცვლილებას და რამდენიმე დამატებას კოდექსში;

ბ) პროექტის პირველ მუხლს არ გააჩნია მასში შემავალი პუნქტების ნუმერაცია (არაბული ციფრებით);

გ) პროექტით გათვალისწინებული საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2¹ პუნქტის რედაქცია შეიცავს 2 აბზაცს, რომლებიც არასწორად დანომრილია არაბული ციფრებით. ნაცვლად ამისა, ეს ორი აბზაცი ან უნდა გაერთიანდეს ერთ პუნქტად (მე-2¹ პუნქტი), ან თითოეული აბზაცი ცალკე პუნქტის სახით დაინომროს (მე-2¹ და მე-2² პუნქტები).

2. საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

პროექტის პირველი მუხლის პუნქტების ციფრობრივ ნუმერაციაში დაშვებულია შეცდომა და მე-6 პუნქტი (ითვალისწინებს კანონში 34¹-ე მუხლის დამატებას) უნდა გადაინომროს მე-5 პუნქტად.

III. რეკომენდაციები

1. საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს საარჩევნო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“

პროექტით გათვალისწინებულ საარჩევნო კოდექსის 95-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის და 117-ე მუხლის მე-5¹ პუნქტის რედაქციებთან დაკავშირებით – ეს დამატებები ითვალისწინებენ საქართველოს პარლამენტის და საკრებულოების არჩევნების დროს პარტიების მიერ სარეგისტრაციოდ ბოლო ერთი წლის ფინანსური ანგარიშის („ინფორმაცია პარტიის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის თაობაზე“) წარდგენის ვალდებულებას. ტერმინოლოგიური და პროცედურული

გამარტივების თვალსაზრისით შესაძლოა ნაცვლად ასეთი ინფორმაციისა საარჩევნო რეგისტრაციისთვის იუსტიციის სამინისტროდან გამოითხოვებოდეს შესაბამისი უკანასკნელი წლისთვის თითოეული პარტიის მიერ წარდგენილი საფინანსო დეკლარაცია.

2. საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

ა) პარტიაში იურიდიული და ფიზიკური პირების შემოწირულობების ზღვრულ ღირებულებებთან მიმართებაში პროექტში მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს შემოწირულობად მატერიალური აქტივების ან/და უფლებების გამოყენებისას მათი ღირებულების დადგენის წესი, აგრეთვე კომპეტენტური შემფასებლების განსაზღვრის პროცედურა;

ბ) პროექტით ისევე, როგორც საერთოდ წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებულია პარტიების დაფინანსების ლიმიტაცია და მკაცრი რეგლამენტაცია, აგრეთვე პარტიების საფინანსო საქმიანობის კონტროლისა და მონიტორინგის ქმედითი სამართლებრივი ბაზის ფორმირება, წესდება ახალი სანქციები პარტიის საფინანსო საქმიანობასთან მიმართებაში. ასეთ ფონზე, პარტიათა მიერ ახალ კანონმდებლობასთან ოპერატიული მისადაგების, პარტიების საფინანსო საქმიანობის ლეგალიზაციის ხელშეწყობისა და ქვეყნის პარტიული სტრუქტურის დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკურ კულტურასთან დაახლოების მიზნით სასურველი იქნებოდა „პოზიტიური“ ცვლილებების შეტანაც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რის ერთ-ერთ კომპონენტად შესაძლოა განხილული ყოფილიყო პარტიების სახელმწიფო დაფინანსების არეალის გაფართოება და სახელმწიფო დაფინანსების მოცულობების სამართლიანი გაზრდა.

3. საერთოდ წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით შესაძლებელია პარტიების საქმიანობაში გამოვლენილი სამართალდარღვევების მიმართ სანქციების მწყობრი და შედარებით მარტივი სისტემის გამოყენების, ერთი და იგივე დარღვევისთვის ერთი სანქციის გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სახდელთა სახეობებს (კოდექსის 24-ე მუხლი) დამატებოდა ახალი სახეობები – პარტიისთვის კანონით დადგენილი სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების ჩამორთმევა (შეჩერება) და პარტიისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა (შეჩერება)¹. ასეთი მიდგომის შემთხვევაში ორგანული კანონიდან „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ამოღებულ იქნებოდა დებულებები კანონის მოთხოვნების დარღვევით მიღებული შემოწირულობების სახელმწიფო ხაზინაში 1 თვის ვადაში არგადარიცხვის, საფინანსო დეკლარაციის გამოუქვეყნებლობის ან წარუდგენლობის, დეკლარაციაში არასწორი ან არასრული მონაცემების შეტანის, პარტიის საქმიანობის კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით მიღებული შემოსავლებით არსებითად დაფინანსების დასჯადობის შესახებ, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173¹⁰-ე და 173¹¹-ე მუხლები განიცდიდა შესატყვის კორექტირებას.

¹ უკანონოდ მიღებული შემოწირულობების სახელმწიფო ხაზინაში იძულებით ამოღებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ისედაც დაუშვებდა, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის უშუალო ობიექტის ან საგნის კონფისკაციას.

IV. საერთო შეფასება

საერთო ჯამში, საკანონმდებლო პაკეტით შემოთავაზებული ცვლილებები, დასკვნაში ასახული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში, პოზიტიური ხასიათის მატარებელი უნდა იყოს.

მთლიანობაში საკანონმდებლო პაკეტის მიზანმიმართება და რეგულაცია შემდეგ სფეროებს უკავშირდება:

- საარჩევნო კამპანიის ფონდსა და პარტიაში შემოწირულობების შემტანი პირების ზუსტი იდენტიფიკაციისა და მონიტორინგის სისტემის ფორმირება;

- საარჩევნო კამპანიის ფონდსა და პარტიაში შემოწირულობების შემტანის მკაცრი რეგლამენტაცია და ლიმიტირება;

- საარჩევნო კამპანიის ფონდსა და პარტიაში 50 ლარზე მეტი ოდენობის შემოწირულობების შემტანი ფიზიკური პირების მიერ საშემოსავლო დეკლარაციის შევსების დამატებითი ვალდებულების დაწესება;

- პარტიის საწევრო შენატანების ზღვრული ოდენობის დადგენა;

- პარტიის მიერ საწევრო შენატანების, აგრეთვე შემოწირულობების მხოლოდ უნაღლო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით მიღების დაწესება;

- პარტიის საფინანსო დეკლარაციის გამოუქვეყნებლობის ან წარუდგენლობის, საფინანსო დეკლარაციაში არასწორი ან არასრული მონაცემების შემტანის, პარტიის საქმიანობის კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით მიღებული შემოსავლებით არსებითად დაფინანსების დასჯადობის შემოღება;

- პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსებისა და შესაბამის დაწესებულებაში წარდგენის ვალდებულების დაწესება.